186
1987 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1987 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1987 წ.

## შინაარსი

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები


28. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების შექმნის შესახებ.

29. გ. ნ. მერკვილაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ.

31. საქართველოს სსრ თეატრების ბილეთების ზღვრული ფასების დამტკიცების შესახებ.

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 14 მაისის № 577 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

33. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების დებულების დამტკიცების შესახებ.

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ოქტომბრის № 511 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ივნისის № 659 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

ბიბლიოთეკა

## 28 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების შექმნის შესახებ

„თბილისის № 1 ექსპერიმენტულ სკოლაში ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე სკკპ წევრის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ამხ. შ. ა. ამონაშვილის ანგარიშის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1987 წლის 13 იანვრის დადგენილების (ოქმი № 37, § 3) რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანება.

2. დამტკიცდეს დებულება ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების შესახებ და მოწონებულ იქნეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1987 წლის 13 იანვრის დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა თანდართული გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ო. ჩერქეზია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ქ. თბილისი, 1987 წ. 7 ივლისი, № 348.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 7 ივლისის № 348 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანება (შემდგომ გაერთიანებად წოდებული) არის ერთიანი სამეცნიერო-პედაგოგიური კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედიან ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლამდელი, სასკოლო, სკოლისგარეშე და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

2. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო გაერთიანების გენერალური დირექტორის წარდგენით.

3. გაერთიანება, რომელსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი ორგანიზაციები, მათ მიმართ გამოდის როგორც ზემდგომი ორგანო.

4. გაერთიანების თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს აქვს თავისი დასახელება, რომელიც შეიცავს გაერთიანების დასახელებასაც, რომლის შემადგენლობაშიც ერთეული შედის.

5. გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებანი და მითითებანი ზემდგომ ორგანოებს შეუძლიათ მისცენ მხოლოდ გაერთიანებას, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეული იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე.

7. თავის მუშაობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სადირექტივო დოკუმენტებით, „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით“, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მითითებებით სახალხო განათლების შესახებ და ამ დებულებით.

8. გაერთიანება ახორციელებს თავის საქმიანობას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-ექსპერიმენტული, აგრეთვე სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის პერსპექტიული და წლიური გეგმების შესაბამისად. გაერთიანების გეგმები დგება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმით დასახული ამოცანების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქარ-

თველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის. სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა განაცხადების გათვალისწინებით, აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვისა და გავრცელების აუცილებლობის გათვალისწინებით. სამეცნიერო პრობლემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს სამეურნეო ხელშეკრულებათა საწყისებზეც.

9. გაერთიანება მუშაობს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კონტაქტით, გამოდის როგორც სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ კოორდინირებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პედაგოგიური ნამუშევრების შემსრულებლად ან თანაშემსრულებლად, თანამშრომლობს საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომლებიც ეწევიან კვლევას პედაგოგიკის მეცნიერების მომიჯნავე დისციპლინებში.

10. გაერთიანების მთავარ ორგანიზაციასთან (ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) იქმნება საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევს უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრების და რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მიერ პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგში გაწეულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და წარმართავს მათ სკოლის რეფორმისათვის განსაკუთრებით აქტუალური პრობლემების დასამუშავებლად.

## II. სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების მიზნები და ამოცანები

11. გაერთიანება იქმნება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს მეცნიერულ-პედაგოგიური კვლევის მჭიდრო კავშირი გაერთიანების სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მუშაობის პრაქტიკასთან. მთავარი ორგანიზაცია მეცნიერული კვლევის პერსპექტიული და წლიური გეგმების თანახმად, გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ორგანიზაციას უწევს საცდელ-ექსპერიმენტულ მუშაობას ახალი პროგრამების, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, აღზრდისა და სწავლების ფორმებისა და მეთოდების აპრობირებისათვის, უზრუნველყოფს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების, ნოვატორული გამოცდილების დანერგვას ამ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში.

12. გაერთიანებაში შემავალი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მეცნიერულ ძიებას, ამასთან ყოველნაირად დაეხმარონ მეცნიერულ მიღწევათა დანერგვას მუშაობის პრაქტიკაში.

13. გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— ააგოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა უახლესი მიღწევების საფუძველზე;

— გამოავლინოს კანონზომიერებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა, რომელიც ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის საბოლოო მიზნის მიღწევას;

— შეიმუშაოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელების კონკრეტული სისტემა, მისი შინაარსი, მეთოდიკა და დიდაქტიკური მასალა სკოლის ყველა კონცენტრისათვის;

— დააჩქაროს მეცნიერული კონცეფციებისა და ნოვატორული გამოცდილების დანერგვა გაერთიანების პრაქტიკულ მუშაობაში;

— ექსპერიმენტის დადებითი შედეგების მიღწევისას შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკური რეკომენდაციები რესპუბლიკის სკოლების მუშაობის პრაქტიკაში მათი დანერგვის შესახებ.

14. სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ბაზაზე გაერთიანება პროპაგანდას უწევს და ავრცელებს მოწინავე გამოცდილებას, მეცნიერულ-პედაგოგიურ ცოდნას; ხელს უწყობს გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე მასწავლებელთა (აღმზრდელთა) მომზადება-გადამზადების საქმეს.

15. მეცნიერთა და მასწავლებელთა (აღმზრდელთა) ერთობლივი საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობა ხორციელდება თანამეგობრობის, თანამშრომლობის, თანაშემოქმედების პრინციპებზე. მასწავლებლები (აღმზრდელები) შეიძლება გახდნენ საცდელ-ექსპერიმენტული პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდიკური ნამუშევრების თანაავტორები.

## III. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

16. გაერთიანებას სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელიც მოქმედებს ერთმმართველობის საფუძველზე. გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ინიშნება გაერთიანების მთავარი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავარი სტრუქტურული ერთეულის მმართველობის აპარატი.

გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

17. გაერთიანების გენერალური დირექტორი ორგანიზაციას უწევს გაერთიანების მთელ მუშაობას და პასუხს აგებს მისი საქმიანობისათვის.

თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში გენერალური დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოდ იღებს და სამუშაოდან ითხოვს მუშაკებს, იღებს შესაბამის წამახალისებელ ზომებს და სასჯელს ადებს მუშაკებს, განაგებს გაერთიანების ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ანგარიშებს ბანკებში და ა. შ.

18. გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეებსა და მთავარ ბუღალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

19. გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეთა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა ფუნქციებს განსაზღვრავს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით და წარმოადგენენ მას სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

20. გაერთიანების შემადგენლობაში სტრუქტურულ ერთეულებად შედიან:

ა) ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (მთავარი სტრუქტურული ერთეული);

ბ) თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა;

გ) საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლა;

დ) ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების საბაზო და № 171 საბავშვო ბაღები;

ე) საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის საბავშვო ბაღი;

ვ) საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავის მცირეკომპლექტური რვაწლიანი (ცხრაწლიანი) სკოლა;

ზ) ქალაქ თბილისის № 23 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი;

თ) ქალაქ თბილისის ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლა;

ი) ქალაქ თბილისის საირმის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსი (საცურაო აუზითურთ).

21. კვლევის ამოცანების შესაბამისად გენერალური დირექტორი განსაზღვრავს მთავარი ორგანიზაციის — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ქვედანაყოფთა სტრუქტურას, ქმნის მასში განყოფილებებს, ლაბორატორიებს, საპრობლემო ჯგუფებს, კაბინეტებს მოქმედ დებულებათა საფუძველზე ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული საშტატო ერთეულებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

22. გაერთიანების გენერალური დირექტორი ნიშნავს მთავარი ორგანიზაციის სამეცნიერო ქვედანაყოფთა გამგეებს ამ თანამდებობებზე კონკურსით მათ გადარჩევამდე. სამეცნიერო ქვედანაყოფის გამგის, უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევნები ტარდება თანახმად დებულებისა თანამდებობათა საკონკურსო დაკავების შესახებ.

23. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში ხორციელდება ხელმძღვანელთა (დირექტორთა, გამგეთა, მოადგილეთა) არჩევითობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელი კადრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და გააძლიერებს მათი პასუხისმგებლობას საქმიანობის შედეგებისათვის.

გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების დირექტორები (გამგეები) და მათი მოადგილეები აირჩევიან პედაგოგიური კოლექტივის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით და დაამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

24. გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ორგანიზაციას უწევს მის მუშაობას და პასუხს აგებს მისი საქმიანობისათვის; უზრუნველყოფს მთავარი ორგანიზაციის გეგმით დასახულ მეცნიერულ-ექსპერიმენტულ გამოკვლევათა განხორციელებისათვის საჭირო პირობებს; მოქმედებს კანონმდებლობის, ამ დებულებისა და მოცემული სტრუქტურული ერთეულის დებულების შესაბამისად.

25. საერთო ხელმძღვანელობას გაერთიანების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობისადმი ახორციელებს სამეცნიერო საბჭო, რომელიც იქმნება მთავარ ორგანიზაციასთან — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. საბჭოს შემადგენლობაში შედიან გაერთიანების გენერალური დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) და მოადგილეები, სწავლული მდივანი, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლები, სამეცნიერო ქვედანაყოფთა გამგეები, წამყვანი მეცნიერები, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, პედაგოგიური შრომის ნოვატორები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომიჯნავე სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები. საბჭოს შემადგენლობას გენერალური დირექტორის წარდგენით ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

26. სამეცნიერო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული მუშაობის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს; ანგარიშებს გაერთიანების, მისი ცალკეული ერთეულების, მთავარი ორგანიზაციის სამეცნიერო ქვედანაყოფების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის შესახებ; მეცნიერულ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმებსა და მათი რეალიზაციის შედეგებს; მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მისი შედეგების დანერგვის, ექსპერიმენტატორთა და პრაქტიკოს პედაგოგთა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს; სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და განვითარების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების, გაერთიანების მუშაკთა შემოქმედებითი აქტიურობის მობილიზაციის საკითხებს; აფასებს მეცნიერულ სამუშაოთა ხარისხს, წამოყენებულ ჰიპოთეზათა სიახლესა და მნიშვნელობას, საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობის მიმდინარეობას. მოქმედ დებულებათა თანახმად სამეცნიერო საბჭო ატარებს კონკურსებს სამეცნიერო ქვედანაყოფთა გამგეების, უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლების თანამდებობათა და-

საკავშირო, განიხილავს სამეცნიერო წოდებათა მინიჭებისა და სხვა საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, გაერთიანების გენერალური დირექტორის ბრძანებით.

27. გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი გეგმების რეალიზაციისადმი შუდმივი ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელების, გაერთიანების ამოცანებთან მისი სტრუქტურული ერთეულების ინტერესების შეხამების, საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობის ნორმალური მიმდინარეობისათვის სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, აგრეთვე გაერთიანებისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მუშაობასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად იქმნება დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოში შედიან გაერთიანების გენერალური დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), მისი მოადგილეები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკოორდინაციო საბჭოს სწავლული მდივნები, სტრუქტურულ ერთეულთა ხელმძღვანელები.

28. რესპუბლიკაში სამეცნიერო ძალების კონსოლიდაციის, მეცნიერულ-მეთოდიკურ სამუშაოთა გაღრმავებისა და დაჩქარების, კვლევით გეგმებში დუბლირების თავიდან აცილების, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დანერგვის პროცესის დაჩქარების მიზნით მთავარ ორგანიზაციასთან — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან იქმნება რესპუბლიკაში პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგში მეცნიერული კვლევის საკოორდინაციო საბჭო; საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან გაერთიანების გენერალური დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), მისი მოადგილე მეცნიერების დარგში (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), მოადგილეები, საკოორდინაციო საბჭოს სწავლული მდივანი, მთავარი დაწესებულების სამეცნიერო ქვედანაყოფთა გამგეები, უმაღლესი სასწავლებლებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების პედაგოგიკისა და კერძო მეთოდიკების კათედრათა გამგეები, თვალსაჩინო მეცნიერები, მონათესავე მეცნიერებათა წარმომადგენლები და ა. შ.

რესპუბლიკაში პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგში მეცნიერული კვლევის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ზემდგომი ინსტანცია გენერალური დირექტორის წარდგენით.

29. მთავარ ორგანიზაციაში — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეიძლება შეიქმნას მოქმედი წესის შესაბამისად სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭო.

## IV. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

30. გაერთიანებისათვის მინიჭებულ უფლებებსა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ახორციელებს გაერთიანების გენერალური დირექტორი და მოვალეობათა დაწესებული განაწილების

მიხედვით — მისი მოადგილეები და სხვა თანამდებობის პირები, [illegible]ბულებათა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად, შეთანხმებით ან მონაწილეობით.

31. გაერთიანება დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან წინასწარ შეთანხმებული პრობლემატიკის შესაბამისად შეიმუშავებს ხუთწლიან გეგმას ხუთწლედის წლების მიხედვით უმნიშვნელოვანეს დავალებათა განაწილებით. ხუთწლიანი გეგმა გაერთიანების საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს.

32. გაერთიანებას უფლება აქვს შეწყვიტოს დადგენილი წესით შემდგომი მუშაობა ცალკეულ პრობლემებზე მათი არასაკმარისი აქტუალურობისა და პერსპექტიულობის გამოვლენის შემთხვევაში.

33. გაერთიანებას შეუძლია შეასრულოს გეგმის გადამეტებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს დამტკიცებული გეგმების შესრულებას.

34. გაერთიანება სისტემატურად სწავლობს და აანალიზებს სამამულო და საზღვარგარეთული პედაგოგიკის მეცნიერების მიღწევებს, ორგანიზაციას უწევს და სრულყოფს მეცნიერული ინფორმაციის სამსახურს.

35. გაერთიანება ახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალი ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, შეიმუშავებს და ახორციელებს ხელმძღვანელი კადრების რეზერვის შექმნისა და მომზადების ღონისძიებებს, განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას მეცნიერ მუშაკებზე, ორგანიზაციას უწევს ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო კადრების მომზადებას და მაძიებლობას დადგენილი წესით.

36. გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ხელმძღვანელ მუშაკთა და ექსპერიმენტულ მუშაობაში ჩართულ და გაერთიანების მეცნიერული კვლევის შედეგების გამომყენებელ პედაგოგთა (აღმზრდელთა) კვალიფიკაციის ამაღლებას.

37. გაერთიანება სარგებლობს მეცნიერულ-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემის უფლებით; ამ მიზნით გაერთიანებასთან იქმნება სარედაქციო საგამომცემლო საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე და პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემლობის განყოფილება.

38. გაერთიანება არსებული კანონმდებლობის თანახმად ოპერატიულად გამოსცემს თავის პირგადასალებ-გასამრავლებელ უბანზე მეცნიერული კვლევის საჭიროებისათვის ექსპერიმენტულ სახელმძღვანელოებს, ექსპერიმენტულ და სასინჯ სასწავლო პროგრამებს, მეთოდიკურ დამხმარე სახელმძღვანელოებს მასწავლებელთათვის და ა. შ.

39. გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით და გენერალური დირექტორის წარდგენით წახალისდებიან მოქმედი კანონმდებლობისა და სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული საქმიანობისა და მეცნიერულ-პედაგოგიური მაჩვენებლებისათვის გაერთიანების მუშაკები წარდგენილ იქნებიან დადგენილი წესით სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად, საპატიო წოდებათა მისანიჭებლად და სხვ.

40. გაერთიანებას პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით უფლება აქვს:

ა) დაუწესოს მეცნიერ მუშაკებს, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ, ხელფასის დანამატები თანამდებობრივი სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის საგეგმო ფონდის ფარგლებში;

ბ) ნება დართოს მეცნიერ მუშაკებს, რომლებიც ეწევიან გაერთიანების ქვედანაყოფებში ექსპერიმენტულ მუშაობას, შეუთავსონ 0,5-მდე საშტატო ერთეული პედაგოგის (აღმზრდელის) თანამდებობას;

გ) ნება დართოს ქვედანაყოფთა პედაგოგ-პრაქტიკოსებს (აღმზრდელებს), რომლებიც ეწევიან საგეგმო ექსპერიმენტულ მუშაობას მოსწავლეებთან, შეუთავსონ 0,5-მდე საშტატო ერთეული ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის თანამდებობას მუშაკთა რაოდენობის გამოთავისუფლებით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, მაგრამ არა უმეტეს მთავარი ორგანიზაციის საშტატო განრიგის 20 პროცენტისა, ან განუსაზღვროს მასწავლებლებს, რომლებიც საგეგმო საცდელ-ექსპერიმენტულ მუშაობას ეწევიან, ხელფასის დანამატი მთავარი ორგანიზაციის სამეცნიერო მუშაობისათვის გათვალისწინებული ფონდის 25 პროცენტამდე ფარგლებში;

დ) ხუთ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს გაერთიანების ხელმძღვანელ და რიგით მუშაკთა ატესტაცია არსებული კანონმდებლობის თანახმად მზარდ მოთხოვნებთან კადრების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ატესტაციის შედეგების მიხედვით გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მუშაკთა თანამდებობრივი დაწინაურების ან დაქვეითების, თანამდებობრივი სარგოების დანამატების შეცვლის ან გაუქმების, ანდა დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

41. გაერთიანების გენერალურ დირექტორს უფლება აქვს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ქვედანაყოფის წარდგენით მისცეს მეცნიერ თანამშრომელთა თანაბრად მთავარი ორგანიზაციის საპრემიო ფონდის ხარჯზე პრემიები გაერთიანებაში შემავალ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა მასწავლებლებს (აღმზრდელებს) და სხვა მუშაკებს.

42. გაერთიანების გენერალურ დირექტორს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ მიავლინოს გაერთიანების მუშაკები სტრუქტურულ ერთეულებში, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში და მის ფარგლებს გარეთ.

ეროვნული

გაერთიანების მუშაკებს მივლინების ხარჯები მიეცემათ ორგანიზაციის — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტიდან.

43. გაერთიანება ახორციელებს დადგენილი წესით მეცნიერულ ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან, მათ შორის იმ ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებების (კონტრაქტების) საფუძველზე, რომელთა კომპეტენციაშიც ეს შედის.

44. მაღალი ინფორმაციების უზრუნველყოფის მიზნით გაერთიანება სისტემატურად სწავლობს საზღვარგარეთულ გამოცდილებას შესაბამის დარგში. ამზადებს წინადადებებს დადგენილი წესით გაერთიანების თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების შესახებ საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების მიზნით.

### V. გაერთიანების სახსრები და ანგარიშგება

45. გაერთიანება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს გერბიანი ბეჭედი და დაწესებული ნიმუშის შტამპი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება, და აქვს არქივი.

გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

46. გაერთიანების სახსრები შედგება ასიგნებებისაგან, რომლებსაც გამოჰყოფს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საჭიროებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით, და სპეციალური სახსრებისაგან.

47. გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხარჯთაღრიცხვების დაფინანსება ხდება ყოველწლიურად იმ სამინისტროთა და უწყებათა სახსრებიდან, რომელთაც ექვემდებარებიან ეს ორგანიზაციები.

48. ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ ყოველწლიურად წარედგინება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული მუშაობის შედეგების შესახებ პერიოდულად ეცნობებათ დაინტერესებულ უწყებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 29 გ. ნ. მერკვილაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოში ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, ლენინის ორდენის კავალერის გიორგი ნოშრევანის ძე მერკვილაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს გ. ნ. მერკვილაძის სახელი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატს.

2. დაწესდეს 1987-1988 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში გ. ნ. მერკვილაძის სახელობის ორი სტიპენდია (თითო სტიპენდია ფაკულტეტზე) აღნიშნული ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ორ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს გ. ნ. მერკვილაძის სახელობის საკავშირო მემორიალი სპორტულ ტანვარჯიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 7 ივლისი, № 355.

ეროვნული

## 30 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს წინადადება, რომელიც მოიწონა საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ, და გადაყვანილ იქნენ ეკონომიკური ექსპერიმენტის წესით 1987 წლის 1 ივლისიდან ზემოაღნიშნული სამმართველოს სამეურნეოანგარიშიანი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე.

2. დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე ეკონომიკური ექსპერიმენტის წესით გადაყვანილ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შესახებ.

3. საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ 1988 წლის პირველ კვარტალში განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში 1987 წელს მუშაობის შედეგები და ამის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

თბილისი, 7 ივლისი, 1987 წ. № 362.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 7 ივლისის № 382
დადგენილებით

# დროებითი დებულება

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ეკონომიკური ექსპერიმენტის წესით მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შესახებ

### I. ხელფასის ფონდის შექმნა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს*) სისტემის იმ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის ფონდი, რომლებიც ეკონომიკური ექსპერიმენტის წესით გადადიან მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. ხელფასის ფონდი მორიგი წლის გეგმის მიხედვით იქმნება სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის ფონდის ნორმატივის ხარჯზე საკურორტო მომსახურების რეალიზაციის შემოსავლის ყოველ მანეთზე მათი ძირითადი საქმიანობის მიხედვით.

2. ხელფასის ფონდის ნორმატივები გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში და დაეგზავნებათ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს დროულად, წლიური და ხუთწლიანი გეგმების შედგენის დაწყებამდე.

საჭირო შემთხვევებში წლიური და ხუთწლიანი გეგმების დამტკიცებისას ზემოაღნიშნულ ნორმატივებში შეიძლება შეტანილ იქნეს დაზუსტებანი. წლიურ და ხუთწლიან გეგმებში დაწესებული ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

ხელფასის ფონდის ნორმატივები წესდება ცალკეულ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მუშაობის სპეციფიკის შესაბამისად.

3. ხელფასის ფონდის ნორმატივები შემუშავდება დიფერენცირებულად, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ცალკეული ჯგუფების მიხედვით, და დაამტკიცებს „საქკურორტის" სამმართველოს კოლეგია.

დიფერენცირებული ნორმატივები შემუშავდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქკურორტის" სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა პერსონალის ხელფასის ფონდის ნორმატივის საფუძველზე მისი ძირითადი საქმიანობის მიხედვით.

---

*) შემდგომში ეწოდება „საქკურორტის" სამმართველო.

4. ნორმატივს აწესებს ხუთწლედისათვის „საქკურორტის" სამმართველო ყოველი ცალკეული დაწესებულებისათვის და იგი წარმოადგენს საფუძველს ხუთწლედის ყოველი დაგეგმილი წლისათვის ხელფასის ფონდის საგეგმო ოდენობის გამოანგარიშებისას.

5. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა პერსონალის ძირითადი საქმიანობის ხელფასის ფონდი განისაზღვრება შემდეგნაირად: დამტკიცებული ნორმატივი მრავლდება შესაბამის პერიოდში სამუშაოთა და საკურორტო მომსახურების რეალიზაციის შემოსავალზე.

6. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მიხედვით ხელფასის საერთო ფონდი განისაზღვრება გაანგარიშებით მთლიანად წლისათვის, კვარტალების მიხედვით დაყოფით, როგორც ხელფასის ფონდის ნორმატივის მიხედვით შექმნილი ძირითადი საქმიანობის პერსონალის და არასიობრივი შემადგენლობის ხელფასის ფონდის, აგრეთვე ახალამოქმედებული დაწესებულებებისა და ობიექტების მუშაკთა ხელფასის ფონდის ჯამი.

7. „საქკურორტის" სამმართველო ქმნის ხელფასის ფონდის რეზერვს. რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დაგეგმილი წლისათვის სამმართველოს მოთხოვნილების შესაბამისად, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ხელფასის გაანგარიშებული ფონდის საერთო ოდენობის ორ პროცენტს.

„საქკურორტის" სამმართველოს ხელფასის ფონდის რეზერვიდან დაწესებულებას შეიძლება გამოეყოს ხელფასის დამატებითი ფონდი მისი მუშაობის დროებითი გაუარესების შემთხვევაში, რაც გამოწვეული არაა ამ დაწესებულების მიზეზით, დამტკიცებული ნორმატივის შეუცვლელად. ხელფასის დამატებითი ფონდის თანხა გამოიანგარიშება საშტატო განრიგის მიხედვით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და არ შედის ხელფასის საბაზო ფონდში.

8. „საქკურორტის" სამმართველოს ცალკეულ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს უფლება ეძლევათ მისცენ სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების დანამატები ხელფასის დაწესებულ ნორმატივთან ან საგეგმო ფონდთან შედარებით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

— მუშაკებს პროფესიათა შეთავსებისა და სამუშაოთა დაწესებული მოცულობის შესრულებისათვის — განაკვეთის (სარგოს) 50 პროცენტამდე ოდენობით;

— განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშაკებს მაღალი კვალიფიკაციისათვის — ძირითადი სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით.

მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების დანამატები უქმდება.

9. დაწესებულ ნორმატივთან შედარებით ხელფასის ფონდის ეკონომიის წლის დამლევს გამოუყენებელი თანხა გადაირიცხება მატერიალური წახალისების ფონდში იმ პირობით, თუ შესრულებულია საკურორტო მომსახურების მოცულობის გეგმა. ხელფასის ფონდის გადახარჯვისას მის დაფარვას მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარდება მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები წინა წლის ბალანს-ში გადარიცხული ხელფასის ფონდის ეკონომიის ფარგლებში.

10. კონტროლს ხელფასის ფონდის ხარჯვისადმი ახორციელებენ სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებანი კვარტალობრივად.

11. დამატებანი და ცვლილებანი, რომლებიც არ გამომდინარეობენ ამ დროებითი დებულებიდან, შეიძლება შეტანილ იქნეს ცალკეულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებში საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიასთან შეთანხმებით.

18619

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

ხელფასის ფონდის ნორმატივისა „საქკურორტის" სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა 1987 წლის ხელფასის საგეგმო ფონდის განსასაზღვრავად

| მაჩვენებლები | ზომის ერთეული | 1987 წლისათვის დამტკიცებული გეგმა |
|---|---|---|
| ხელფასის ფონდის გაანგარიშება სამეურნეოანგარიშიან სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა პერსონალისათვის: | | |
| ა) სამეურნეოანგარიშიან სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შემოსავალი | ათასი მანეთი | 3200 |
| ბ) სამეურნეოანგარიშიანი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულების მუშაკთა ხელფასის ფონდი | ათასი მანეთი | 1600 |
| სამეურნეოანგარიშიანი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის ფონდის ნორმატივი შემოსავლის 1 მანეთზე (ა : ბ) | კაპიკი | 50 |

### II. მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდი

„საქკურორტის" სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისათვის მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდი შემუშავებულია შესაბამისად დებულებისა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოთა და გაერთიანებათა მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ, რომელიც რეკომენდებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ (1985 წლის 26 დეკემბრის № სა-628/49-500 წერილი), დარგის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდი შემოღებულია იმ მიზნით. რომ გაღრმავდეს სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა „საქკურორტის" სამმართველოს სისტემაში და გაძლიერდეს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა დაინტერესება საკურორტო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებით და მათი პასუხისმგებლობა ზემდგომი ორგანიზაციების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის.

1. „საქკურორტის" სამმართველო ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმასთან და საფინანსო გეგმასთან ერთად წლის დაწყებამდე შეიმუშავებს და დაამტკიცებს თავისი სისტემის სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისათვის სამმართველოს ცენტრალიზებულ ფონდებში საბალანსო მოგების ანარიცხების ნორმატივებს.

ეროვნული

2. საერთო საგეგმო საბალანსო მოგებად ითვლება სანატორიულ-საკუ-რორტო დაწესებულებათა ყოველგვარი საქმიანობით მიღებული საბალანსო მოგება.

სატინანსო გეგმაში (შემოსავალ-გასავლის ბალანსში) საბალანსო მოგებისა და სამმართველოს ცენტრალიზებულ ფონდებში გადასახდელთა საერთო თანხა განისაზღვრება წლიურად, კვარტალების მიხედვით განაწილებით.

3. სამმართველოს ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ნორმატივები განისაზღვრება როგორც ფაქტიური საბალანსო მოგების ხვედრითი წონადი (პროცენტობით).

4. ფაქტიურ საბალანსო მოგებად ითვლება სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ყოველგვარი საქმიანობის საანგარიშო ბალანსის მიხედვით არსებული მოგება.

5. დასაგეგმი წლისათვის სამმართველოს ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ნორმატივები განისაზღვრება შემდეგნაირად:

— მოგების საგეგმო მოცულობის 50 პროცენტი;

— მოგების ზეგეგმითი მოცულობის 45 პროცენტი, თუ გეგმა შესრულდება 100.1-105 პროცენტით;

— მოგების ზეგეგმითი მოცულობის 50 პროცენტი იმ თანხიდან, რომელიც აღემატება საბალანსო მოგების საგეგმო მოცულობას 105,1-110 პროცენტიდან;

— სამმართველოს ცენტრალიზებულ ფონდებში გადაირიცხება ზეგეგმითი მოგების 55 პროცენტი, თუ მოგების გეგმა შესრულდება 110,1 და მეტი პროცენტით.

6. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ფაქტიური საბალანსო მოგების დარჩენილი ნაწილი გადაეცემა დაწესებულებათა განკარგულებაში საკუთარი ფონდების შესაქმნელად.

7. სამმართველოს ცენტრალიზებულ ფონდში გადარიცხვა საგეგმო ნორმატივის საშუალებით სავალდებულოა სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისათვის იმ შემთხვევაშიც, თუ მოგების გეგმა არ შესრულდება.

თუ ფაქტიურად მიღებული საბალანსო მოგების ოდენობა საგეგმო ოდენობაზე ნაკლებია, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი შეავსებენ მას წინა წლებში დაგროვილი საკუთარი ფონდების ხარჯზე ან დაფარავენ 3 წლის განმავლობაში.

8. ფაქტიური საბალანსო მოგების დარჩენილ ნაწილს ცენტრალიზებულ ფონდში შესაბამისი გადარიცხვის შემდეგ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი იყენებენ შემდეგი ფონდების შესაქმნელად:

— მატერიალური წახალისების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

— საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III. მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი

მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი შემუშავებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სტიმულირების საქმეში სამინისტროთა, გაერთიანებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, აგრეთვე „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილებით განსაზღვრულ ღონისძიებათა გათვალისწინებით, და მიზნად ისახავს გაძლიერდეს „საქკურორტის“ სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა დაინტერესება თავიანთი მუშაობის საბოლოო შედეგებისა და საკურორტო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

აღნიშნული წესი ვრცელდება „საქკურორტის“ სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ ყველა დაგეგმილ-მოგებიან სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებაზე.

### მატერიალური წახალისების საგეგმო ფონდის შექმნის წესი

1. „საქკურორტის“ სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მატერიალური წახალისების ფონდი ხუთწლიან და წლიურ გეგმებში იქმნება საბაზო წელთან შედარებით მოგების გადიდების (შემცირების) ყოველი პროცენტისათვის დაწესებული ნორმატივის მიხედვით.

2. მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივს განსაზღვრავს და ამტკიცებს „საქკურორტის“ სამმართველო საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიასთან შეთანხმებით.

3. „საქკურორტის“ სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისათვის მეთორმეტე ხუთწლედში მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივი წესდება საბაზო წლის გეგმასთან შედარებით მოგების გადიდების (შემცირების) ყოველი პროცენტისათვის მატერიალური წახალისების ფონდის გადიდების (შემცირების) 1,0 პროცენტის ოდენობით.

4. მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივი (საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში) სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს დაეგზავნებათ დროულად, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დაწყებამდე, და საჭირო შემთხვევებში შეიძლება შეიცვალოს ამ გეგმის შემუშავებისას. ხუთწლიანი გეგმით დამტკიცებული ნორმატივი არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

5. მატერიალური წახალისების ფონდის აბსოლუტური სიდიდე მორიგი წლის გეგმაში განისაზღვრება შემდეგნაირად: ამ ფონდის თანხას საბაზო წლის

გეგმის მიხედვით მიემატება საბაზო წლის დონესთან შედარებით. გეგმით გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადიდების (შემცირების) ყოველი პროცენტისათვის ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული გადიდების (შემცირების) თანხა.

6. 1987-1990 წლებში მატერიალური წახალისების ფონდის საგეგმო სიდიდის განსაზღვრის საბაზო წლად აღებულია 1987 წელი.

7. მატერიალური წახალისების ფონდის გადიდების (შემცირების) თანხა გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ნორმატივი გამრავლდება საბაზო წლის გეგმის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდის სიდიდეზე და მორიგი წლის გეგმით გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადიდების (შემცირების) პროცენტზე (საბაზო წლის გეგმასთან შედარებით).

ამასთან საბაზო წელთან შედარებით დასაგეგმი წლის ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადიდების (შემცირების) პროცენტი განისაზღვრება შესადარ ფასებში და პირობებში.

## წლის განმავლობაში მატერიალური წახალისების ფონდში მოგების გადარიცხვის წესი

1. მატერიალური წახალისების ფონდში მოგების ანარიცხები შეიტანება ყოველკვარტალურად. წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) გამოანგარიშებული მოგების გეგმის შესრულებისას ანარიცხები შეიტანება შესაბამისი პერიოდისათვის წლიური საფინანსო გეგმით გათვალისწინებული ოდენობით.

2. მოგების საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისას (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) მატერიალური წახალისების ფონდში შეიტანება დამატებითი ანარიცხები შემდეგი ნორმატივების მიხედვით:

— მოგების გეგმის 100,1-105 პროცენტით შესრულებისათვის დამატებითი ანარიცხების ნორმატივი უდრის 1-ს მოგების ზრდის ყოველი ზეგეგმითი პროცენტისათვის;

— მოგების გეგმის 105,1-110 პროცენტით შესრულებისათვის ნორმატივი უდრის 0,8-ს;

— მოგების გეგმის 110,1 და მეტი პროცენტით შესრულებისათვის ნორმატივი შეადგენს 0,6-ს.

3. დამატებითი ანარიცხები (ანარიცხების შემცირება) მატერიალური წაალისების ფონდში ხდება იმ ნორმატივების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ პროცენტულ თანაფარდობას საბაზო ფონდებთან.

4. მოგების გეგმის შეუსრულებლობისას სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს უმცირდებათ მატერიალური წახალისების ფონდში ჩარიცხული თანხა 2 პროცენტის ოდენობით გეგმის შეუსრულებლობის ყოველი პროცენტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მატერიალური წახალისების ფონდის გამოყენების წესი

1. მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები იხარჯება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯვის პროექტი შეიტანება დაწესებულების შრომითი კოლექტივის განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით და თან დაერთვის კოლექტიურ ხელშეკრულებას.

2. მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები რეკომენდებულია მოხმარდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

— პრემირებას გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემირების დაწესებული სისტემების მიხედვით;

— პრემირებას სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შიგნით სოციალისტური შეჯიბრების შედეგების, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის გათვალისწინებული დათვალიერებებისა და კონკურსების შედეგების მიხედვით;

— ცალკეულ მუშაკთა წახალისებას განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის;

— მუშაკთათვის ჯილდოს მიცემას წლის შედეგების მიხედვით მუშაობის საერთო მაჩვენებლებისათვის;

— მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გაწევას.

3. მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების ნაწილი შეიძლება გადაეცეს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდს მათი საბინაო მშენებლობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოსაყენებლად.

გადაწყვეტილებას აღნიშნული სახსრების გადაცემის შესახებ იღებს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულების ხელმძღვანელი პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

4. მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების გამოუყენებელი ნაშთები არ ჩამოერთმევათ და მომდევნო წელს გამოიყენება საერთო წესით მისი ხარჯვის დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

### IV. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 15 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულების შესაბამისად და გათვალისწინებულია „საქკურორტის“ სამმართველოს დაგეგმილ-მოგებიანი დაწესებულებებისათვის, რომ-

ლებიც ექსპერიმენტის წესით გადადიან მეურნეობის გაძღოლის ახალ პირო-
ბებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის საგეგმო ოდენობის განსაზღვრის წესი**

1. „საქკურორტის" სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი იქმნება მატერიალური წახალისების საგეგმო ფონდის 35-50 პროცენტის ოდენობით.

2. „საქკურორტის" სამმართველოს შესაბამის პროფკავშირთა კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია დააწესოს საქვეუწყებო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში ნორმატივის სათახადო ოდენობა (35-50 პროცენტის ფარგლებში).

3. აღნიშნული ფონდის შექმნის ნორმატივები დაეგზავნებათ საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს დროულად, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დაწყებამდე, და საჭირო შემთხვევებში შეიძლება დაზუსტდეს ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას. ხუთწლიანი გეგმით დაწესებული ნორმატივი არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

4. „საქკურორტის" სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების ანარიცხები შეიტანება ყოველკვარტალურად შესაბამისი პერიოდისათვის წლიური საფინანსო გეგმით გათვალისწინებული ოდენობით.

**სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების გამოყენების წესი**

1. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ამ ფონდის სახსრების ხარჯვის პროექტი შეიტანება დაწესებულების შრომითი კოლექტივის განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

2. ხარჯთაღრიცხვის შედგენისას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, მათ შორის გასული წლის ფონდის ნაშთი შრომითი კოლექტივების პირველი რიგის სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გათვალისწინებით, რეკომენდებულია მოხმარდეს შემდეგ მიმართულებებს:

— სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთათვის საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, სასადილოებისა და ბუფეტების, სპორტული ნაგებობებისა

და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას (მშენებლობაში წილობრივ მონაწილე[illegible]-თოებასა და კაპიტალურ რემონტს;

— გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის ამ დაწესებულებების მუშაკთათვის დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სანატორიუმების, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტურისტული ბაზებისა და მარშრუტების საგზურების შეძენას (მგზავრობის ღირებულების აუნაზღაურებლად), ექსკურსიებსა და მოგზაურობას დასვენების დღეებში ადგილობრივ მარშრუტებზე, რომლებსაც აწყობენ პროფკავშირთა ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებანი;

— სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის მიერ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად მიცემული კრედიტების დაფარვას, ამ სესხით სარგებლობისათვის პროცენტების გადახდას, აგრეთვე დამხმარე მეურნეობათა განსავითარებლად მიღებული კრედიტების დაფარვას (25 პროცენტამდე);

— კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას, ამ მიზნით სასწავლო და თვალსაჩინო საშუალებების, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთათვის თეატრალური კოსტიუმების შეძენას (მათი ქირის საფასურის გადახდას), სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენას; კოლექტივის წევრთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განსახორციელებლად სადგომებისა და სპორტული ნაგებობების იჯარით აღებას;

— სასადილოებში (ბუფეტებში) სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა, პირველ რიგში, ღამის ცვლაში მომუშავეთა კვების ღირებულების გაიაფებას;

კოლექტიური ბაღების გზებისა და წყალსადენების მოწყობას, ელექტრიფიკაციას და კეთილმოწყობის სხვა სამუშაოთა ხარჯებს ამ სამუშაოთა განხორციელებისათვის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯების 25 პროცენტამდე ფარგლებში;

— უსასყიდლო მატერიალური დახმარების გაწევას კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საკუთარი სახსრების თავდაპირველი შეტანის მიზნით, აგრეთვე კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიცემული კრედიტის ნაწილობრივ დაფარვას;

— ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის მიცემას საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ან საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად;

— შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებს.

3. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულების ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

4. „საქკურორტის“ სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შრომით კოლექტივებს რჩევა ეძლევათ განუწყვეტლივ გამოყოფენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის იმ სახსრების წილი, რომლებიც ხმარდება საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

5. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ნაკლებობისას სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორები სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს აძლევენ გრძელვადიან კრედიტს საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტის ფარგლებში 2 წლის ვადით. გრძელვადიანი კრედიტი შეიძლება მიეცეთ აგრეთვე მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის 50 პროცენტის ფარგლებში.

კრედიტი შეიძლება მიეცეთ იმ შემთხვევებში, როცა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში შემოსული სახსრები, რომლებიც დასაგეგმ წელს ხმარდება არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, შეადგენს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არანაკლებ 50 პროცენტს, ან ასეთი სახსრები არის დაწესებულების ანგარიშებზე.

6. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების და ბანკის კრედიტების ხარჯზე სამეურნეო წესით შესასრულებელ სამუშაოებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფენ უშუალოდ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები „საქკურორტის“ სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა განაცხადების მიხედვით საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

7. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში ყველა საცხოვრებელი სადგომი მიეცემათ ამ დაწესებულებათა მუშაკებს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით და შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა შესაბამის საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომს.

8. დაწესებულებათა ზემოაღნიშნული სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომები წილობრივი მონაწილეობის წესით გამოყოფენ ფართობის 6 პროცენტამდე საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით ასალები სახლებიდან მოქალაქეთა გადასაყვანად და 2 პროცენტამდე — საბინაო ფონდის მომსახურებითა და ექსპლუატაციით უშუალოდ დასაქმებულ მუშაკთათვის სამსახურებრივი ფართობის მისაცემად.

9. წლის დამლევისათვის გამოუყენებელი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ნაშთი გადადის მომდევნო წელს, არ ჩამოერთმევათ და შემდგომ იხარჯება კოლექტივის გადაწყვეტილებით იმ მიზნებისათვის, რომელთაც ითვალისწინებს ეს დებულება. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები შეიძლება დააგროვონ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებმა მომდევნო წლებში მშენებლობის განსახორციელებლად.

### V. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი

საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1986 წლის 15 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულებისა საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მიერ წარმოების განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, საკურორტო მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

### საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნის წესი

1. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდი იქმნება შემდეგი სახსრებისაგან:

— მოგების ანარიცხებით საბალანსო მოგების იმ ნაწილის პროცენტობით დაწესებული ნორმატივების მიხედვით, რომელიც რჩება სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა განკარგულებაში;

— ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების სახსრებით საამორტიზაციო ანარიცხების პროცენტობით დაწესებული ნორმატივების მიხედვით;

— ძირითადი ფონდების შემადგენლობაში რიცხული მწყობრიდან გამოსული და ზედმეტი ქონების რეალიზაციის ამონაგებით, გარდა ამ ქონების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა.

2. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივები ხუთწლედისათვის სტაბილურად წესდება და ხუთწლედის განმავლობაში არ უნდა შეიცვალოს.

3. დაგეგმილ-მოგებიანი კურორტებისათვის საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივებს ადიფერენცირებს და ამტკიცებს „საქკურორტის" სამმართველო.

4. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივი მოგებიდან განისაზღვრება მოგების იმ ნაწილის 30 პროცენტამდე ოდენობით, რომელიც ნორმატიული განაწილების შემდეგ რჩება სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა განკარგულებაში.

5. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივი საამორტიზაციო ანარიცხებიდან განისაზღვრება საამორტიზაციო ანარიცხების საერთო თანხის 40 პროცენტის ოდენობით.

6. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის აბსოლუტური თანხა წლიურ გეგმაში კვარტალების მიხედვით ნაწილდება მოგების გეგმის კვარტალობრივი განაწილების პროპორციულად.

## საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდში სახსრების გადარიცხვის წესი

1. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდში ანარიცხების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: შესაბამისი ნორმატივები მრავლდება ფაქტიურად მიღებულ მოგების თანხაზე და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ფაქტიურად დარიცხულ თანხაზე.

2. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდში მოგების ანარიცხები და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს შეაქვთ ყოველკვარტალურად მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი). წინათ შეტანილი ანარიცხები გამოიქვითება.

3. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდში ფაქტიური ანარიცხების განსაზღვრისას ანგარიშში მიიღება მოგების საერთო თანხა და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები ყოველგვარი საქმიანობისაგან.

## საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის სახსრების გამოყენების წესი

1. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის სახსრები გამოიყენება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. აღნიშნული ფონდის ხარჯვის პროექტი შეიტანება სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი აცნობებენ მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის სახსრები შეიძლება მოხმარდეს:

— სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მოქმედი ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის ხარჯების დაფინანსებას;

ბიბლიოთეკა

— დამსვენებელთა მკურნალობისა და დასვენების გასაუმჯობესებლად ახალი ინვენტარისა და მექანიზმების შეძენას;

— ატრაქციონების, საცეკვაო მოედნების, სპორტული ნაგებობების მშენებლობასა და მონტაჟს;

— დამხმარე სასოფლო მეურნეობის ორგანიზაციასა და განვითარებას. ამ მიზნებს შეიძლება მოხმარდეს აღნიშნული ფონდის სახსრების 10 პროცენტამდე. ხსენებული სახსრებით შეიძლება შეძენილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მექანიზმები და პროდუქტიული პირუტყვი, განხორციელდეს საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

— ბანკის იმ კრედიტების დაფარვას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იფარება საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე, აგრეთვე ამ კრედიტებისათვის პროცენტების გადახდას.

3. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის სახსრები შეიძლება მოხმარდეს დადგენილი წესით სხვა საწარმოებისაგან განმეორებით გამოსაყენებლად მიღებული საპროექტო დოკუმენტაციის (ნამუშევრების) და მისი გამოყენებისათვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

4. საკურორტო მეურნეობის განვითარების ფონდის სახსრები სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს არ ჩამოერთმევათ და მათ შეუძლიათ დააგროვონ ეს სახსრები შემდგომში საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

## VI. ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი

### „საქკურორტის“ სამმართველოს ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების შემადგენლობა და შექმნის წესი

1. ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდები შედგება შემდეგი ოთხი ფონდისაგან: 1) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი; 2) მატერიალური წახალისების ფონდი; 3) საფინანსო რეზერვი; 4) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

2. „საქკურორტის“ სამმართველოს ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდები იქმნება საქვეუწყებო დაგეგმილ-მოგებიან დაწესებულებათა მოგების ნაწილის ხარჯზე.

3. ამ ფონდების ანარიცხების კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება „საქკურორტის“ სამმართველოს მიერ ხუთწლედისათვის შემუშავებული და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სტაბილური ნორმატივების დახმარებით.

4. ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების თავდაპირველი შექმნისათვის დასაგეგმი ხუთწლედის მოგების ანარიცხების ნორმატივები დაგეგმილ-მომგებიან სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს განესაზღვრებათ შემდეგნაირად:

— მოგების საგეგმო მოცულობის 50 პროცენტი;

— მოგების ზეგეგმითი მოცულობის 45 პროცენტი, თუ გეგმა შესრულდება 100,1-105 პროცენტით;

— მოგების ზეგეგმითი მოცულობის 55 პროცენტი, თუ გეგმა შესრულდება 110,1 და მეტი პროცენტით.

5. ეკონომიკური სტიმულირების ერთიან ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების საგეგმო სახსრების თანხები გათვალისწინებულია „საქკურორტის" სამმართველოს ხუთწლიან საფინანსო გეგმებში (შემოსავალ-გასავლის ბალანსებში) წლების მიხედვით განაწილებით. წლიურ საფინანსო გეგმებში ზემოაღნიშნული მოგების ანარიცხები იყოფა კვარტალების მიხედვით.

6. „საქკურორტის" სამმართველოს ეკონომიკური სტიმულირების ერთიან ცენტრალიზებულ ფონდში საგეგმო ნორმატივით განსაზღვრული თანხების გადარიცხვა სავალდებულოა სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისათვის მოგების გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც.

თუ ფაქტიურად მიღებული საბალანსო მოგება დაგეგმილზე ნაკლებია, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულება შეავსებს მას წინა წლებში დაგროვილი საკუთარი ფონდების ხარჯზე ან დაფარავს სამი წლის განმავლობაში.

7. ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებისათვის გათვალისწინებულ სახსრებს ყოველთვიურად გადარიცხავენ „საქკურორტის" სამმართველოს შესაბამისი დაწესებულებანი სამმართველოს ცალკე ანგარიშზე.

8. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მიერ ეკონომიკური სტიმულირების ერთიან ცენტრალიზებულ ფონდებში გადარიცხული თანხები საბუღალტრო აღრიცხვაში აისახება განყენებული სახსრების შემადგენლობაში. საგადასახდელო დავალებებში ამ დაწესებულებათა სახსრების გადარიცხვაზე აღინიშნება „ანარიცხები ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებულ ფონდებში, 19 . . წლის I კვარტალი (ნახევარწელი, 9 თვე, წელი)".

9. ეკონომიკური სტიმულირების ერთიან ცენტრალიზებულ ფონდებში თანხების დროულად შემოსვლის მიზნით სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა აძლევს „საქკურორტის" სამმართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილების მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესით კრედიტს ბრძანებით იმის შესახებ, რომ ჩამოართვას საქვეუწყებო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს ზემოაღნიშნული ფონდების შექმნისათვის გათვალისწინებული სახსრები, ხოლო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს დროებითი ფინანსური სიძნელეების წარმოქმნისას აძლევს კრედიტს ამ ბრძანებათა ასანაზღაურებლად, ან დავალებებს ამ ფონდებში მოგების გადასარიცხად სსრ კავშირის სახბანკის

1975 წლის 29 მაისის № 1 საინსტრუქციო წერილის 201-208-ე პუნქტებით განსაზღვრული წესით.

10. სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა აძლევს „საქკურორტის“ სამმართველოს კრედიტს ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების სახსრების ხარჯზე ასანაზღაურებელ სამუშაოთა დასაფინანსებლად, თუ წლის განმავლობაში ამ ფონდში შემოსული სახსრები არ ემთხვევა მისი დანახარჯების ოდენობას, ხოლო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს — ამ ფონდების სახსრების ხარჯზე დასაფინანსებელ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, თუ აღნიშნული სამუშაოები სრულდება უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, ამასთან კრედიტი დაიფარება მისი გაცემის დღიდან ორი წლის განმავლობაში ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების სახსრების ხარჯზე. ხსენებული კრედიტი „საქკურორტის“ სამმართველოს ეძლევა გარანტიით.

## ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების სახსრების გამოყენების წესი

1. საფინანსო გეგმით დაწესებული ოდენობით ეკონომიკური სტიმულირების ერთიან ცენტრალიზებულ ფონდებში სახსრების შენახვისას ისინი ნაწილდება ამ ფონდის ცალკეული შემადგენელი ნაწილების მიხედვით და გამოიყენება ზუსტად მიზნობრივი დანიშნულებისამებრ. სახსრების ან მათი ნაშთების გადანაწილება დაუშვებელია.

2. აღნიშნული ფონდების სახსრების გამოყენების წესი განისაზღვრება ცალ-ცალკე თითოეული ფონდის მიხედვით.

3. „საქკურორტის“ სამმართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი განისაზღვრება ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების 40 პროცენტის ოდენობით და გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევით და საცდელ სამუშაოთა დასაფინანსებლად, კურორტოლოგიის ახალი, პროგრესული მეთოდებისა და ხერხების შემუშავებასთან და ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე ისეთი აპარატებისა და მოწყობილობის შეძენისათვის დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც მთლიანად სამმართველოს, ისევე მისი ცალკეული დაწესებულებების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდები და შესაბამისი სახსრები გადაირიცხება ყოველკვარტალურად ამ ფონდებში შესაბამისი სახსრების ჩარიცხვის შემდეგ 10 დღის განმავლობაში.

4. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის სახსრები ხმარდება:

— აპარატებისა და მოწყობილობის შეძენის ხარჯებს;

— მთლიანად სამმართველოს მეცნიერული პოტენციალის შემდგომი გადიდებისათვის გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ სამუშაოთა დაფინანსებას;

— არასტანდარტული ინვენტარისა და მოწყობილობის გამოსაშვებად საცდელ წარმოებათა გახსნის დაფინანსებას;

— სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ინვენტარისა და მოწყობილობის რემონტისა და მოდერნიზაციის სამუშაოთა დაფინანსებას;

— ცალკეული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას მათი ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლების მიზნით.

5. წლის დამლევისათვის გამოუყენებელი „საქკურორტის“ სამმართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ნაშთი გადადის მომდევნო წელს და არ ჩამოერთმევა.

6. „საქკურორტის“ სამმართველოს მატერიალური წახალისების ფონდი განსაზღვრულია ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდის 30 პროცენტის ოდენობით და გათვალისწინებულია სამმართველოს აპარატისა და ცალკეული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის. ამ ფონდის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამმართველოს მუშაკთა წასახალისებლად თანახმად დებულებისა პრემირების შესახებ შემდეგი მიზნებისათვის:

— მიმდინარე პრემირებისათვის;

— ერთდროული წახალისებისათვის;

— უწყების შიგნით სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წახალისებისათვის;

— წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მუშაკთა წახალისებისათვის;

— ერთდროული მატერიალური დახმარების გასაწევად.

7. „საქკურორტის“ სამმართველოს მატერიალური წახალისების ფონდის არა უმეტეს 20 პროცენტისა შეიძლება გადაეცეს ცალკეულ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა განკარგულებაში წახალისების საკუთარი ფონდების შესავსებად მათი უკმარისობის შემთხვევაში.

8. „საქკურორტის“ სამმართველოს მატერიალური წახალისების ფონდი გამოიყენება ცალკეული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების იმ მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ მიზნებს შეიძლება მოხმარდეს მატერიალური წახალისების ფონდის საერთო სახსრების არა უმეტეს 10 პროცენტისა.

9. „საქკურორტის“ სამმართველოს მატერიალური წახალისების ფონდის არა უმეტეს 5 პროცენტისა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკეული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა წასახალისებლად სამმართველოს უფროსის გადაწყვეტილებით პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მატერიალური წახალისების ფონდის გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელს და არ ჩამოერთმევა.

10. „საქკურორტის“ სამმართველოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი განისაზღვრება ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდის 20 პროცენტის ოდენობით

11. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხები ხდება ყოველკვარტალურად.

12. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ხარჯთაღრიცხვის პროექტი შეიტანება სამმართველოს შრომითი კოლექტივის განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

13. ხარჯთაღრიცხვის შედგენისას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, მათ შორის გასული წლის ფონდის ნაშთი შრომითი კოლექტივის პირველი რიგის სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გათვალისწინებით, რეკომენდებულია მოხმარდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

— საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, სასადილოებისა და ბუფეტების, კლუბების, პიონერბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას (მშენებლობაში წილობრივ მონაწილეობას), გაფართოებასა და კაპიტალურ რემონტს.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ნაკლებობისას სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორები აძლევენ „საქკურორტის“ სამმართველოს დადგენილი წესით გრძელვადიან კრედიტს საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტის ფარგლებში 2 წლის ვადით;

— გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის მედიკამენტების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სანატორიუმების, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტურისტული ბაზებისა და მარშრუტების საგზურების შეძენას (მგზავრობის ღირებულების აუნაზღაურებლად), ექსკურსიებსა და მოგზაურობას დასვენების დღეებში ადგილობრივ მარშრუტებზე, რომლებსაც აწყობენ პროფკავშირთა ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებანი;

— სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის მიერ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად მიცემული კრედიტების დაფარვას, ამ სესხით სარგებლობისათვის პროცენტების გადახდას;

— კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას, ამ მიზნით სასწავლო და თვალსაჩინო საშუალებების, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთათვის თეატრალური კოსტიუმების შეძენას (მათი ქირის საფასურის გადახდას), სპორტული ფორმისა და ინვენტა-

რის შეძენას; მშრომელთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი და ფიზ-კულტურულ-სპორტული მუშაობის განსახორციელებლად სადგომებისა და სპორტული ნაგებობების იჯარით აღებას; თვალსაჩინო აგიტაციისა და სააგიტაციო-მხატვრული გაფორმების საშუალებათა შეძენას, აგრეთვე სადღესასწაულო დღეებისათვის შენობათა გაფორმებას;

— კოლექტიური ბაღების გზებისა და წყალსადენების მოწყობას, ელექტრიფიკაციასა და კეთილმოწყობის სხვა სამუშაოთა ხარჯებს ამ ფონდის საერთო ოდენობის 25 პროცენტამდე ფარგლებში;

— უსასყიდლო მატერიალური დახმარების გაწევას კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საკუთარი სახსრების თავდაპირველი შეტანის მიზნით, აგრეთვე კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიცემული კრედიტის ნაწილობრივ დაფარვას;

— ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის მიცემას საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ან საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად;

— შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების ღონისძიებებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებს.

14. წლის დამლევისათვის გამოუყენებელი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ნაშთები გადადის მომდევნო წელს, არ ჩამოერთმევათ და შემდგომ იხარჯება შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით იმ მიზნებისათვის, რომელთაც ითვალისწინებს ეს დებულება.

15. „საქკურორტის“ სამმართველოს ფინანსური რეზერვი განისაზღვრება ეკონომიკური სტიმულირების ერთიანი ცენტრალიზებული ფონდების 10 პროცენტის ოდენობით.

16. ფინანსურ რეზერვში ანარიცხების თანხა საბუღალტრო აღრიცხვაში აისახება 81 ანგარიშის დებეტით „მოგების გამოყენება“, 88 ანგარიშის კორესპონდენციაში „სოციალური დანიშნულების ფონდები“ (სუბანგარიში „ფინანსური რეზერვი“).

17. ფინანსური რეზერვის სახსრები ხმარდება საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსებას და საბუღალტრო აღრიცხვაში აისახება 88 ანგარიშის დებეტით და 85 ანგარიშის კრედიტით „საწესდებო ფონდი“.

18. ფინანსური რეზერვის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს „საქკურორტის“ სამმართველოს მატერიალური წახალისების ფონდის და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ნაკლებობის შესავსებად. ამ მიზნებს შეიძლება მოხმარდეს ფინანსური რეზერვის სახსრების არა უმეტეს 50 პროცენტისა.

19. ფინანსური რეზერვის სახსრები ინახება განსაკუთრებულ ანგარიშზე სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებაში.

20. ფინანსური რეზერვის გამოუყენებელი სახსრები რჩება „საქკურორტის“ სამმართველოს განკარგულებაში და არ ჩამოერთმევა.

ბიბლიოთეკა

## 31 საქართველოს სსრ თეატრების ბილეთების ზღვრული ფასების დამტკიცების შესახებ

მოსახლეობის თეატრალური მომსახურების გაუმჯობესების, თეატრების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების, აგრეთვე თეატრების შენობათა აღჭურვის გათვალისწინებით ბილეთების ფასების დაწესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს:

— რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების საღამოს სპექტაკლების ბილეთების ზღვრული ფასები:

(მანეთი და კაპიკი)

| | თეატრების კატეგორია შენობათა აღჭურვის მიხედვით | თეატრების ჯგუფები 1 | | 2 | | 3 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოპერისა და ბალეტის თეატრები | I | 0—60 | 2—60 | 0 50 | 2 30 | 0 - 40 | 2—00 |
| | II | 0—60 | 2 - 30 | 0—50 | 2—00 | 0 - 40 | 1—70 |
| მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის თეატრები | II | 0 70 | 2—50 | 0 - - 60 | 2—20 | 0—50 | 1 - 90 |
| დრამატული თეატრები | I | 0 - 50 | 2—00 | 0 - 40 | 1 - 80 | 0 - 30 | 1—60 |
| | II | 0—50 | 1 - - 80 | 0 40 | 1—60 | 0—30 | 1—40 |
| მოზარდ მაყურებელთა თეატრები და თოჯინების თეატრები | I | 0—50 | 1—80 | 0 - 40 | 1 60 | 0—30 | 1 40 |
| | II | 0—50 | 1 - 60 | 0—40 | 1 - 40 | 0—30 | 1 - 20 |

— რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების ბავშვთა სპექტაკლების ბილეთების ზღვრული ფასები:

(მანეთი და კაპიკი)

| | თეატრების ჯგუფები 1 | | 2 | | 3 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოპერისა და ბალეტის თეატრები | 0—30 | 1—40 | 0—30 | 1—20 | 0—30 | 1 - 00 |
| მუსიკალური კომედიისა და ოპერის თეატრები | 0 - 30 | 1—20 | 0 - 30 | 1 - 00 | 0 - 30 | 0—80 |
| დრამატული თეატრები და მოზარდ მაყურებელთა თეატრები | 0—30 | 1—00 | 0—30 | 1 - 00 | 0—30 | 0—80 |
| თოჯინების თეატრები | 0—30 | | 0—30 | | 0 - - 30 | |

2. დაწესდეს, რომ:

— პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან თეატრები, რომლებსაც სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ მიანიჭა საპატიო წოდება „აკადემიური“;

— მეორე და მესამე ჯგუფებისათვის და შენობათა აღჭურვის მიხედვით კატეგორიებისათვის თეატრების მიკუთვნებას ახდენს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო;

— თეატრებში მოზრდილთათვის დღის სპექტაკლების, აგრეთვე სოფლად მოზრდილთათვის თეატრების საგასტროლო სპექტაკლების ბილეთების ფასები მცირდება 20 პროცენტით საღამოს სპექტაკლების ბილეთების ფასებთან შედარებით;

— თეატრების გამსვლელი სპექტაკლების ბილეთების ფასები მტკიცდება ძირითად სცენაზე სპექტაკლებისათვის დაწესებული ფასების დონეზე.

3. უფლება მიეცეთ თეატრების დირექტორებს:

— გაადიდონ სტაციონარულ პირობებში თეატრების მუშაობისას მაღალი იდეურ-მხატვრული დონისა და საშემსრულებლო ოსტატობის საღამოს სპექტაკლების ბილეთების ფასები 50 პროცენტამდე თეატრის სამხატვრო საბჭოს წარდგენით. ფასების აღნიშნული გადიდება ხდება თეატრის წლიურ გეგმაში გათვალისწინებული საღამოს სპექტაკლების არა უმეტეს ერთი მესამედისათვის;

— შეამცირონ მოზრდილთათვის დღისა და საღამოს სპექტაკლების ბილეთების ფასები 50 პროცენტამდე მაყურებელთა ფართოდ მიზიდვის მიზნით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ თეატრისათვის დაწესებული სახელმწიფო დოტაცია არ უნდა გადიდდეს;

— გაადიდონ თეატრების საგასტროლო სპექტაკლების ბილეთების ფასები 100 პროცენტამდე, ამასთან ბილეთის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4 მანეთსა და 50 კაპიკს.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ 1987 წლის 1 აგვისტომდე დაამტკიცოს საქვეუწყებო თეატრების ბილეთების ფასები ამ დადგენილებით დაწესებული ზღვრული ფასების შესაბამისად.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დააწესოს უცხოეთის თეატრების საგასტროლო სპექტაკლებისა და უცხოელ მსახიობთა მონაწილეობით რესპუბლიკური ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების სპექტაკლების ბილეთების ფასები ერთ ბილეთზე 6 მანეთამდე ოდენობით.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1987 წლის 1 სექტემბრიდან მთავრობის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხებზე, თანდართული ნუსხის თანახმად.

7. ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1987 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

**ქ. თბილისი, 1987 წ. 7 ივლისი, № 366.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 7 ივლისის № 366 დადგენილებით

## ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 14 მაისის № 287 დადგენილება „ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში ბილეთების ფასების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 თებერვლის № 124 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 იანვრის № 24 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 1977 წლი 3 თებერვლის № 98 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 მაისის № 290 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 სექტემბრის № 1371 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

## 32 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 14 მაისის № 577 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მშენებლობაში შრომის ორგანიზაციის, მისი ანაზღაურებისა და სტიმულირების სისტემის სრულყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 14 მაისის № 577 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს „მმართველობის აპარატისა და არასაწარმოო სფეროს ზოგიერთი დარგის მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის შეზღუდვისა და შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 30 მარტის № 219 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

— მე-7 პუნქტს სიტყვის: „დაწესებულებების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „გარდა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა“;

— ამოღებულ იქნეს მე-10 პუნქტის მესამე აბზაციდან სიტყვა: „სამშენებლო“, ხოლო ამავე პუნქტის უკანასკნელი აბზაციდან — სიტყვები: „საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სახაზო პერსონალის შემადგენლობაში შემავალი უფროსი სამუშაოთა მწარმოებლების (უბნის უფროსების), სამუშაოთა მწარმოებლებისა და უბნის მექანიკოსების“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 14 მაისის № 577 დადგენილებით:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 ივნისის № 430 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის შესახებ დებულების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციები“;

— ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-12 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 მაისის № 380 დადგენილებისა „1968-1970 წლებში საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 417 დადგენილებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 7 ივლისი, № 367.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 7 ივლისის № 367
დადგენილებით

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. „პირუტყვის გადამუშავების, ხორცისა და სხვა სწრაფფუჭებადი პროდუქტების დაბინავების და მაცივრების მშენებლობის დაჩქარების უზრუნველყოფის ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 სექტემბრის № 548 დადგენილების მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 მაისის № 355 დადგენილების მე-10 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოქმედების გავრცელების ნაწილში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 12 აპრილის № 253 დადგენილება „მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრების გაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 მარტის № 192 დადგენილების თაობაზე“.

3. „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 14 დეკემბრის № 820 დადგენილების 33-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი.

მუხ. 33
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 33 იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „დებულება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ".

2. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 30 აგვისტოს № 534 დადგენილებით დამტკიცებული „დებულება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 7 ივლისი, № 372.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 7 ივლისის № 372
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ

1. საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი თავის სახსრებიდან ყოველწლიურად გასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 30 აგვისტოს № 534 დადგენილებით დაწესებულ გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორ ფულად პრემიას: პირველ პრემიას — ექვსასი მანეთის ოდენობით, ხოლო მეორე პრემიას — ოთხასი მანეთის ოდენობით.

2. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიები ენიჭებათ როგორც ავტორთა კოლექტივებს, ისე ცალკეულ ავტორებს, რომლებიც წარმოადგენენ გამოქვეყნებულ ნაშრომებს პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების პრობლემებზე, მეცნიერულად დასაბუთებულ პრაქტიკულ წინადადებებს, სახალხო განათლების ისტორიისა და თანამედროვეობის ამსახველ მეცნიერულ, ლიტერატურულ და ხელოვნების მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს.

3. პრემიების მისანიჭებლად ნაშრომებსა და ნაწარმოებებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებები, აგრეთვე რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებები, შემოქმედებითი კავშირები და ის ორგანიზაციები, რომლებთანაც დაკავშირებულია პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილ პიროვნებათა ან კოლექტივების საქმიანობა.

4. ნაშრომი წარდგენილ უნდა იქნეს 3 ეგზემპლარად, რომელსაც უნდა ახლდეს წარმომდგენი დაწესებულების, ორგანიზაციის, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წარდგინება, რეცენზია და შეფასება-დასკვნები.

**შენიშვნა:** ნაშრომები წარდგენილ უნდა იქნეს მათი მნიშვნელობის შეფასებისადმი მაღალი მომთხოვნელობით, დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების კრებებზე, პრესაში, სამეცნიერო, პედაგოგიური და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების სხდომებზე თითოეული კანდიდატის შემოქმედებითი წვლილის წინასწარი ობიექტური და არგუმენტირებული განხილვის შედეგების საფუძველზე.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს წინა 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებისთვისაც მათ ავტორებს არ მინიჭებიათ სახელმწიფო ან სახელობითი პრემიები და სხვა ჯილდოები. ნაშრომი გამოცემული უნდა იყოს არა უგვიანეს 6 თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე. ერთსა და იმავე პირს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

5. პრემიაზე წარმოდგენილ ნაშრომებს განიხილავს საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების კომისია, რომელშიც შედიან პედაგოგიკის მეცნიერებათა თვალსაჩინო წარმომადგენლები, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი სპეციალისტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოწინავე პრაქტიკოსი მასწავლებლები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები, საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირების, შემოქმედებითი კავშირების, პედაგოგიკური პრესის წარმომადგენლები.

კომისიის უფლებამოსილება განისაზღვრება 3 წლის ვადით.

კომისიის შემადგენლობაში დასახელებული წევრები ღია კენჭისყრით ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს.

6. ყოველი ახალი კონკურსის ჩატარებამდე 2 თვით ადრე კომისია აქვეყნებს შესაბამის განცხადებას გაზეთ „სახალხო განათლებაში", იქვე მიუთითებს კონკურსის ვადებს, საკონკურსო ნაშრომების წარმოდგენისა და მიღების პირობებს, განმარტავს კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს.

7. ნაშრომი წარწერით „იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად" — კომისიას უნდა წარედგინოს ყოველი წლის 10 სექტემბრამდე. კომისია ვალდებულია განიხილოს ნაშრომები და საზოგადოების პრეზიდიუმს არა უგვიანეს ყოველი წლის 15 ნოემბრისა წარუდგინოს კანდიდატები იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

8. კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც.

9. პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ყოველ ცალკეულ ნაშრომს საზოგადოების პრეზიდიუმი საკონკურსოდ არჩევს ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობის საფუძველზე. კანდიდატების სია ქვეყნდება გაზეთ „სახალხო განათლებაში".

10. გადაწყვეტილებას, ყველაზე ღირსეული ნამუშევრების ავტორთათვის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ, კომისია ღებულობს ფარული კენჭისყრით, საკონკურსოდ დაშვებული ნამუშევრების ყოველმხრივი განხილვის საფუძველზე, მათი ფართოდ განხილვის დროს შემოსული მასალების გათვალისწინებით.

**შენიშვნა:** თავისი მოსაზრებანი განსახილველი ნამუშევრების მნიშვნელობის შესახებ საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს შეუძლიათ გაუგზავნონ ცალკეულმა პირებმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი პრემიებს ანიჭებს არა უგვიანეს იმავე წლის 25 დეკემბრისა.

12. საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ ქვეყნდება გაზეთ **„სახალხო განათლებაში“.**

**შენიშვნა:** იაკობ გოგებაშვილის პრემიების მისანიჭებლად კონკურსში დაშვებული ნამუშევარი, რომელსაც პრემია არ მიუღია, გადამუშავების შემდეგ შეიძლება განმეორებით, კიდევ ერთხელ იქნეს წარდგენილი კონკურსში მონაწილეობისათვის საერთო წესით.

13. იმ შემთხვევაში, თუ პრემია მიენიჭება ავტორთა კოლექტივს, პრემიის ურთიერთგანაწილების საკითხს წყვეტენ თვითონ ავტორები.

14. საქმეები იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ ერთი წლის მანძილზე ინახება საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში, შემდეგ სათანადო წესით გადაეცემა არქივს.

## 34 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ოქტომბრის № 511 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ოქტომბრის № 511 დადგენილების მე-3 პუნქტში, და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში შეუძლიათ სამივლინებო მოწმობათა რეგისტრაცია და აღნიშვნა მხოლოდ იმ მუშაკებს, რომლებიც ჩავლენ მივლინებით მოსკოვის ორგანიზაციებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა აპარატების ხელმძღვანელ მუშაკებს“.

2. ქალაქ მოსკოვში მივლინებულმა ყველა დანარჩენმა მუშაკმა, რომელთაც არ ითვალისწინებს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტი, უნდა აღნიშნონ სამივლინებო მოწმობები იმ ორგანიზაციებში, სადაც მივლინებული არიან ისინი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 22 ივლისი, № 387.

## 35 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ივნისის № 659 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 10 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1987 წლის 12 ივნისს მიიღო № 659 დადგენილება „სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 4 ივლისის № 369 დადგენილებისა „გადასახლება-დასახლების შეღავათების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 514 დადგენილების დამატების შესახებ“;

— ქვეპუნქტი „დ“, უკანასკნელი აბზაცის გარდა, „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 14 სექტემბრის № 657 დადგენილების მე-8 პუნქტისა.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ივნისის № 659 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 514 დადგენილებით დავზავნილი „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილების მე-2 პუნქტი და მე-19 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 3 აგვისტო, № 397.

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1987 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X-87 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

შეკვეთა 962 უე 11114 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა